სტუდენტური ცხოვრება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი

სტუდენტების დაკვალიანებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მეტი ჩართულობისთვის, საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ეფექტური კომუნიკაციისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური სტრუქტურული ერთეული - ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი.

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ფუნქციები და მოვალეობები

- საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტების ინტეგრირების ხელშეწყობა;
- სტუდენტური კლუბების დარეგისტრირება და სტუდენტური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა ;
- სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა (დასაქმების ფორუმების ორგანიზება, ვაკანსიებზე ინფორმაციის მიწოდება);
- გასვლითი სეზონური სკოლების ორგანიზება;
- სპორტული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;
- საინტერესო პროექტების, საჯარო შეხვედრების, სემინარებისა და ღონისძიებების დაგეგმვა;
- სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული ხარვეზების რეგისტრაცია და ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია.
- სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტების ინტეგრირების ხელშეწყობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საკმაოდ დიდი უმაღლესი სასწავლებელია და, განსაკუთრებით პირველკურსელთათვის, რთულია ორიენტირება ახალ სივრცეში. ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, ერთი სარკმლის პრინციპით, უკლებლივ ყველა სტუდენტს უწევს კონსულტაციას უნივერსიტეტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სტუდენტური კლუბების დარეგისტრირება და სტუდენტური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია:

- უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;
- სტუდენტს, საკუთარი ინტერესის შესაბამისად, შეეძლოს თვითრეალიზაცია უნივერსიტეტში.

აქედან გამომდინარე, ილიაუნის ნებისმიერ სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს, ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დახმარებით, შეუძლია:

• დაარეგისტრიროს სტუდენტური კლუბი საკუთარი ინტერესების მიხედვით (უნივერსიტეტში არსებული შინაგანაწესის გათვალისწინებით) ან/და გაწევრიანდეს უნივერსიტეტში არსებულ 25-მდე სტუდენტურ კლუბში;
• პროექტისა და ღონისძიების დაფინანსების მოთხოვნით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის, ასევე, საპროექტო განაცხადის ფორმის მიხედვით).

ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი უნივერსიტეტში არსებული ერთადერთი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც პასუხისმგებელია კლუბების რეგისტრაციაზე და მათი საქმიანობის ხელშეწყობაზე; ასევე, სტუდენტური პროექტების და სტუდენტების მიერ ინიცირებული ღონისძიებების განაცხადების განხილვის კოორდინაციაზე მუდმივმოქმედ საბჭოსთან და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობაზე სტუდენტებთან.

სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა

ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს დასაქმების ფორუმებს. აღნიშნულ ფორუმებზე ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია, პირადად გაესაუბროს ბიზნესის წარმომადგენლებს და დაუტოვოს საკუთარი რეზიუმე.

გასვლითი სეზონური სკოლების ორგანიზება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სასწავლო-კვლევითი ბაზები აბასთუმანში, ყაზბეგში, დედოფლისწყაროში და გრიგოლეთში. ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, გარკვეული პერიოდულობით, ორგანიზებას უწევს გასვლით ვორკშოპებს აღნიშნულ ბაზებზე. შერჩევა ხდება კონკურსის წესით, კრიტერიუმები სხვადასხვა პროექტისთვის განსხვავებულია. სკოლების შესახებ ინფორმაცია გეგზავნებათ ელფოსტაზე და ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გასვლითი სეზონური სკოლები სტუდენტებისთვის ქმნის შესაძლებლობას, ქალაქგარეთ, სასიამოვნო გარემოში მოისმინონ საინტერესო ლექციები და დაამყარონ ახალი კონტაქტები.

სპორტული აქტივობები

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ერთ-ერთი მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს სპორტულ ღონისძიებებს.
ტარდება შიდა საუნივერსიტეტო შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, რაგბიში, ფრენბურთში, ქადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში და სპორტის სხვა სახეობებში.
აღნიშნულ ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ილიაუნის ნებისმიერ სტუდენტს წინასწარი რეგისტრაციის პრინციპით. სპორტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ ელფოსტის მეშვეობით, ასევე - ილიაუნის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge.

საინტერესო პროექტების, საჯარო შეხვედრების, სემინარებისა და ღონისძიებების დაგეგმვა

ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი მუდმივად უწევს ორგანიზებას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, რომლებზე დასწრებაც თავისუფალია. ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ილიაუნის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge და გეგზავნებათ ელფოსტაზე.

სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული ხარვეზების რეგისტრაცია და კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესი იყოს გამართული, ხარვეზების გარეშე. ცხადია, პრობლემები ყველა ორგანიზაციაში არსებობს და, ამ მხრივ, არც ილიაუნია გამონაკლისი. ჩვენ ვცდილობთ, გამოვლენილი ხარვეზები სწრაფად გადავჭრათ.

სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შენიშვნების რეგისტრაციის ცხელი ხაზი.

თქვენ შეგიძლიათ, ყოველდღე (კვირის გარდა), 10:00-დან 22:00 საათამდე, დაგვიკავშირდეთ შენიშვნების რეგისტრაციის ცხელ ხაზზე: 032 2 22 32 43 და მოგვაწოდოთ ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გამოვლენილი სხვადასხვა ტიპის ხარვეზის, დარღვევისა თუ პრობლემის შესახებ.

ცხელი ხაზი: 032 2 22 32 43
სამუშაო დრო: ორშაბათი-შაბათი; 10:00-22:00 საათი

სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება

ელექტრონული მისამართიდან student.affairs@iliauni.edu.ge სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი თითქმის ყოველდღე მოგაწვდით ინფორმაციას საინტერესო ღონისძიებების, გაცვლითი პროექტების, სეზონური სკოლებისა და დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობებზე. რეგულარულად შეამოწმეთ თქვენი ელფოსტა, რათა გქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

ტელ.: 032 2 22 00 09 (270)
ელფოსტა: student.affairs@iliauni.edu.ge
მის.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის F106 ოთახი
(ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5)